სახელმწიფო შესყიდვების
სააგენტოს თავმჯდომარის

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

KA080143171562320

№ 5507

25 / დეკემბერი / 2020 წ.

შპს „ქალაქ ბათუმის რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფოსთვის“ სახელმწიფო შესყიდვების გამარტივებული შესყიდვით განხორციელების შესახებ თანხმობის გაცემის თაობაზე

აღწერილობითი ნაწილი

1. ინფორმაცია მომართვის თაობაზე

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2020 წლის 22 დეკემბერს სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის SMP მოდულის მეშვეობით წარმოდგენილ იქნა შპს „ქალაქ ბათუმის რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფოს“ SMP200005568 მომართვა გადაუდებელი აუცილებლობის საფუძვლით გამარტივებული შესყიდვის განხორციელებაზე თანხმობის გაცემის შესახებ.

2. შესყიდვის ობიექტი

მომართვის მიხედვით, შემსყიდველი ორგანიზაცია გეგმავს ინდივიდუალური არაინვაზიური სუნთქვის ნიღბების (ე.წ. სიპაპის ნიღაბი) შესყიდვას (33100000 - სამედიცინო მოწყობილობები).

3. შემსყიდველი ორგანიზაციის დასაბუთება

შემსყიდველი ორგანიზაციის განმარტებით, ბოლო პერიოდში განსაკუთრებით მოიმატა ახალი კორონავირუსით (COVID-19) ინფიცირებული პაციენტების რაოდენობამ შპს „ქალაქ ბათუმის რესპუბლიკურ კლინიკურ საავადმყოფოში“. შესაბამისი პროტოკოლებისა და ეპიდემიოლოგიური რეგულაციების დაცვის გათვალისწინებით, საავადმყოფოში არსებული ცხელების ცენტრი გადაკეთდა პირველი დონის ინტენსიურად და გაიზარდა არსებული საწოლფონდის რაოდენობა. ასევე, საავადმყოფოში დამონტაჟდა ხელოვნური სუნთქვის აპარატურა, რომელსაც ესაჭიროება ინდივიდუალური არაინვაზიური სუნთქვის ნიღბები (ე.წ. სიპაპის ნიღაბი). საგულისხმოა, რომ აღნიშნული საქონლის შესასყიდად საავადმყოფომ გამოაცხადა NAT200019968 ელექტრონული ტენდერი, რომლის სატენდერო პროცედურები ჯერ არ დასრულებულა. ვინაიდან, შესყიდვის დაუყოვნებლივ განუხორციელებლობის შემთხვევაში საფრთხე შეექმნება პაციენტების ჯანმრთელობას და სიცოცხლეს, აუცილებელია საქონლის მცირე რაოდენობის შესყიდვა განხორციელდეს შეზღუდულ ვადებში, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, გადაუდებელი აუცილებლობის საფუძვლით.

4. დაინტერესებული პირ(ებ)ის მოსაზრება

მოცემულ საკითხთან დაკავშირებით დაინტერესებულ პირებს სისტემის SMP მოდულში არ გამოუხატავთ მოსაზრება.

სამოტივაციო ნაწილი

5. შემაჯამებელი დასკვნა

სააგენტომ იმსჯელა შემსყიდველი ორგანიზაციის მომართვაზე, შეაფასა მასში მითითებული ინფორმაცია და დაადგინა, რომ იგი აკმაყოფილებს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს № 13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მოთხოვნებს.

6. სააგენტოს შეფასება

სააგენტო მიიჩნევს, რომ სახეზეა გადაუდებელი აუცილებლობით შესყიდვის განხორციელების საჭიროება, იმდენად რამდენადაც, როგორც მომართვიდან ირკვევა, ბოლო პერიოდში განსაკუთრებით მოიმატა ახალი კორონავირუსით (COVID-19) ინფიცირებული პაციენტების რაოდენობამ შპს „ქალაქ ბათუმის რესპუბლიკურ კლინიკურ საავადმყოფოში“. შესაბამისი პროტოკოლებისა და ეპიდემიოლოგიური რეგულაციების დაცვის გათვალისწინებით, საავადმყოფოში არსებული ცხელების ცენტრი გადაკეთდა პირველი დონის ინტენსიურად და გაიზარდა არსებული საწოლფონდის რაოდენობა. ასევე, საავადმყოფოში დამონტაჟდა ხელოვნური სუნთქვის აპარატურა, რომელსაც ესაჭიროება ინდივიდუალური არაინვაზიური სუნთქვის ნიღბები (ე.წ. სიპაპის ნიღაბი). საგულისხმოა, რომ აღნიშნული საქონლის შესასყიდად საავადმყოფომ გამოაცხადა NAT200019968 ელექტრონული ტენდერი, რომლის სატენდერო პროცედურები ჯერ არ დასრულებულა. ვინაიდან, შესყიდვის დაუყოვნებლივ განუხორციელებლობის შემთხვევაში საფრთხე შეექმნება პაციენტების ჯანმრთელობას და სიცოცხლეს, აუცილებელია საქონლის მცირე რაოდენობის შესყიდვა განხორციელდეს შეზღუდულ ვადებში, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, გადაუდებელი აუცილებლობის საფუძვლით.

ყოველივე ზემოხსენებულიდან გამომდინარე, სააგენტოს მიზანშეწონილად მიაჩნია შესყიდვა განხორციელდეს შემჭიდროებულ ვადებში, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

ამასთან, სააგენტო მოუწოდებს შემსყიდველ ორგანიზაციას, დროულად და კვალიფიციურად დაგეგმოს სახელმწიფო შესყიდვები, მისი ყოველდღიური საქმიანობისათვის საჭირო საქონლის, სამუშაოსა და მომსახურებების შეძენის მიზნით, იმისათვის, რათა თავიდან იქნეს აცილებული გამარტივებული შესყიდვის განხორციელების აუცილებლობა.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო დამატებით მიუთითებს შემსყიდველ ორგანიზაციას, რომ მან სახელმწიფო შესყიდვები განახორციელოს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა განუხრელი დაცვით, რათა კონკურენტული და არადისკრიმინაციული გარემოს შექმნით უზრუნველყოფილ იქნას შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური და გამჭვირვალე ხარჯვა. ასევე, შემსყიდველმა ორგანიზაციამ უზრუნველყოს რელევანტური მიმწოდებლის შერჩევა და ამ შერჩევასთან დაკავშირებული პროცედურების კანონიერება. დამატებით აღვნიშნავთ, რომ წარმოდგენილი ინფორმაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება შემსყიდველ ორგანიზაციას.

სარეზოლუციო ნაწილი

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს № 13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-7 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტებით და დაადგინა:

1. დაკმაყოფილდეს შპს „ქალაქ ბათუმის რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფოს“ SMP200005568 მომართვა და შემსყიდველ ორგანიზაციას მიეცეს თანხმობა გამარტივებული შესყიდვის განხორციელებაზე.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარე

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ლევან რაზმაძე